

პროფესიონალი

№65

PROFESSIONAL


ფანი 2 ლარი

Hotel "EUROPE"

ბაკურიანი, კოსტავას ქ. 62,
62 Kostava str. Bakuriani, Georgia
(+995) 593 98 60 33,
(+995) 595 26 20 60,
(+995) 568 98 60 33.

www.hoteleuropabakuriani.com

hoteleuropa2012@gmail.com



ბაკურიანის სასტუმრო "ევროპა" გიწვევთ ზამთრისა და ზაფხულის საკურორტო სეზონების გასატარებლად სამთო-სათბილამურო კურორტ ბაკურიანში.

სასტუმრო ყველა პირობას ქმნის სრულყოფილი დასვენებისთვის. სასტუმროში 16 ნომერია, მათგან 1 ლუქსი, 3 ნახევრად ლუქსი და სტანდარტული.

ნომრებიდან მოჩანს შესანიშნავი ხედი. სასტუმროს ინტერიერი შესრულებულია სამთო კურორტის შენობათა სტილში. ირგვლივ განლაგებული რბილი ავეჯი გაგილამაზებთ საღამოებს. კეთილგანწყობა და სტუმართმოყვარეობა შეგიქმნით დაუვიწყარ ატმოსფეროს.



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში - საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევ წევრთა რაოდენობა 15 - მდე გაიზარდება, ხოლო პროპორციულ არჩევნებში არსებული 5 პროცენტის ბარიერი 4 პროცენტამდე დაიწვეს. აღნიშნული ცვლილება „საქართველოს ორგანულ კანონში“ საქართველოს საარჩევნო კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ“ შედის, რომელიც მეორე მოსმენით განხილვისთვის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ზვიად ძიძიგურმა წარადგინა.

კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტებში ასალი არჩევითი თანამდებობაა შეიღებული, თვითმმართველ ქალაქში - მერი, ხოლო თვითმმართველ თემში - გამგებელი. ამომრჩეველთა შესაძლო გაორების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში არსებულ პირთა ფოტოსურათების ურთიერთშედარება მოხდება. ასევე, გათვალისწინებულია არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებისა და მათი არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სათანადო პირობების შექმნაც. კანონპროექტის ავტორთა რეკომენდაციით, არაეფექტურობის გამო, მიზანშეწონილია საარჩევნო უბნებზე კომისიის ბეჭდებზე ნაკვეთურების გაკეთების პროცედურების გაუქმება. კოდექსის მოქმედი რედაქციით დადგენილი შეზღუდვა, რომლის თანახმადაც საარჩევნო უბანი არ შეიძლება განთავსდეს იმავე შენობაში, სადაც პოლიტიკური პარტიის ოფისი მდებარეობს, ძალაში რჩება და ემატება შეზღუდვა პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლის მიხედვითაც, იმ შენობაში, სადაც საარჩევნო უბანია განთავსებული, პარტიებისა და საარჩევნო შტაბების განთავსება აიკრძალება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (სმენადაკეცილებულთათვის) წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის სრულფასოვნად მიწოდების უზრუნველყოფა და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის, როგორც საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნულ მაუწყებლებში, ასევე, ასეთი ლიცენზიის არმქონე, ანუ ადგილობრივ მაუწყებლებში წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესისა და დროის



დადგენაა. კომიტეტის წევრებმა კანონპროექტს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და ბლოკებს საარჩევნო სუბიექტისთვის სულ ცოტა 7 მაუწყებელში წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15 პროცენტის გამოყენების ვალდებულება ეკისრებათ. აღნიშნული ცვლილება საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შედის. კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილეს და მხარი დაუჭირეს.

მეორე მოსმენით განიხილეს საქართველოს კანონპროექტი საქართველოს კანონში „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიზანი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის საქართველოს ორგანულ კანონთან „საქართველოს საარჩევნო



იკვლება საკანონმდებლო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო კანონმდებლობით სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნება „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით“ ევალებათ. ცვლილების თანახმად, ინფორმაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის პროცედურების გაწერას, ხარვეზების აღმოფხვრასა და ვადების დადგენას ითვალისწინებს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „საქართველოს ორგანულ კანონში“ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიზანი

კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანაა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ცვლილებას მხარი დაუჭირა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტით დადგინდება, რომ პარტია საბაზო დაფინანსებაზე 30 პროცენტის ოდენობის დანამატს მიიღებს, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში, რომლის შედეგების საფუძველზეც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ ათეულში, მეორე ათეულში და ა.შ. განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30 პროცენტით. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი მეორე მოსმენით განიხილა და მხარი ერთხმად დაუჭირა. დღევანდელი იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატურებიც განიხილა.

დავით უსუფაშვილმა პრემიერ-მინისტრის აშშ-ში გამართულ შეხვედრებთან დაკავშირებით აომენტარი გააათა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ში ვიზიტი შეაფასა. დავით უსუფაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აშშ-ში გამართულ შეხვედრებზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ არა მხოლოდ სტრატეგიულ თანამშრომლობას, არამედ მის ახალ ეტაპზე გადაყვანას.

„საქართველომ აშშ-სთან მონახერხა არა მხოლოდ მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება, არამედ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მისი კიდევ უფრო გაღრმავება. ამის დემონსტრირება იყო პრემიერ-მინისტრის შეხვედრები. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან მიმართებაში რჩება ურყევ პოზიციაზე - მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება მსოფლიოში, ჩვენს გეოპოლიტიკურ გარემოში“, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომის აომიტების სხდომა

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის მიზანია, რეციპიენტის ცოცხალ ღონორთა წრის შიგნით, კერძოდ, მეუღლის ნათესავებს შორის, შესაძლებელი

გახდეს ორგანოთა გადანერგვა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ცვლილება დაარეგულირებს და შესაძლებელს გახდის თირკმლის სხვადასხვა პათოლოგიით დაავადებული მოქალაქისთვის ცოცხალი ღონორის მოძიებას მისი მეუღლის ნათესავების წრიდან. დღესვე განიხილეს პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების ხასით იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული ხასდელისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს, რომელთაც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 166-ე და 173-ე მუხლებით, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 85-ე მუხლით და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 212-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხასდელი, ჯარიმა დაეკისრათ ან შეიძლება დაეკისროთ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელებული ქმედებისთვის. კომიტეტმა მხარი დაუჭირა განხილული კანონპროექტების პლენარულ სხდომაზე გატანას.

საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებად რჩება. ქვეყნის მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს და ამჟამად მთავარი ამოცანა ამ მიღწევების შემდგომი განვითარებაა. ქვეყნის სტაბილურობა საქართველოს მთავრობის ფუნდამენტური ამოცანაა და ამის მისაღწევად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება: დაგეგმილია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, სახელმწიფო ვალის ეფექტური მართვა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება. ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასამარცხებლად საქართველომ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა, სხვადასხვა სფეროებში კონკურენტული უპირატესობების განვითარების მიზნით. თავისუფალი ეკონომიკის კურსი უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ამ საკითხების მოგვარება მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური თანამშრომლობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. გურიის რეგიონში კარგად ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. ჩვენს შეკითხვებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა **აონსტანტინე შარაშენიძემ** უპასუხა...



ვცდილობ ხაზინებში არ გამოვიჩაბო...

– ბატონო კონსტანტინე, რა მდგომარეობა დაგხვდათ რაიონში?

– არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მემკვიდრეობად მოშლილი ინფრასტრუქტურა და დაუსრულებელი პროექტები

ბი დაგვხვდა. მოძველებული და დახეთქილი წყლის მილები, წყლით სავსე ორმოები და დატბორილი ქუჩები, მუდმივად შესაკეთებელი წყლის სათავე-ნაგებობები, მოუწყვსივებელი გზები, იავარქმნილი ინფრასტრუქტურა, მოშლილი ჯანდაცვა, დაუსრულებელი პროექტები და ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო მოსახლეობა - ეს პრობლემები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებს წლებია აწუხებდა. ბიუჯეტის თანხები, ფაქტობრივად, გაფლანგული იყო, რამაც თავი 2012 წლის ბოლოს იჩინა. არაეფექტურად მართულმა ფინანსებმა და ადმინისტრაციულმა რესურსმა ოზურგეთს მძიმე კვალი დაამჩნია. მე და ჩემს თანამოაზრეებს დიდი ბრძოლის გადატანა დაგვჭირდა, რათა სიტუაცია დარეგულირებულიყო, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ელემენტარული პირობებით დაგვეკმაყოფილებინა და მძიმე სოციალური ფონი მეტ-ნაკლებად გამოგვესწორებინა.

– კონკრეტულად რა მონახაზი გაქვთ?

– ჩვენი პრიორიტეტი ეფექტური, პერსპექტიული და რამოდენიმე წელიწადზე გათვლილი პროექტებია. საჭიროა კონკრეტული პრიორიტეტების გამოყოფა და ამ მიმართულებების წარმატებული განხორციელება. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სიტუაცია ნორმალისზდება და რაიონის შესამჩნევი პროგრესი თვალსაჩინოა. რამოდენიმე სოფელში საბავშვო ბაღი წლების მანძილზე არ არსებობდა. სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხების სწორად განკარგვის შედეგად ვაკიჯვარში, მერისასა და ჯუმათში სრული ინვენტარით აღჭურვილმა ბაღებმა 1 თებერვლიდან დაიწყო ფუნქციონირება. ექვსი მილიონი დაიხარჯა გზების მშენებლობაში. გაკეთდა ვაკიჯვრისა და თხინვალის გზა, მუ-



ნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილია მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება, რასაც გზების მოასფალტება მოჰყვება.

– კიდევ რა პერსპექტივებია?

– რასაკვირველია, მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებით შორს ვერ წავალთ, თუმცა ეს ის საბაზისო საკითხია, რომლის მოგვარება პირდაპირპროპორციულად განაპირობებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. აუცილებელია კერძო სექტორმა სწრაფად აღიქვას სასიკეთო ცვლილებები და ბიზნესგანვითარებისთვის აუცილებელი პირობები რეალურად დაინახოს. ადგილობრივი ეკონომიკა მხოლოდ მეწარმეებთან კოორდინირებული მუშაობით აღორძინდება. ნატანებში უზარმაზარი ციტრუსგადაამუშავებელი ქარხანა გაიხსნა, მუნიციპალიტეტში იგეგმება ხილის გადამამუშავებელი ქარხნის და საკალმანის ამუშავება, ადგილობრივი წარმოების განვითარება, ფერმერებისთვის მომგებიანი პირობების ჩამოყალიბება, ტურიისტულ ზონებში საინტერესო საინვესტიციო გარემოს შექმნა.

– ჯანდაცვას და სოციალურ პროექტებს რაც შეეხება?

– უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალური ფონი რაიონში და ზოგადად ქვეყანაში ჯერ კიდევ მეტნაკლებად მძიმეა. ამის გამოსასწორებლად სახელმწიფო ისეთ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, როგორცაა საყოველთაო დაზღვევა და სხვადასხვა უფასო პროგრამები. ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით 800 000 ლარია გამოყოფილი და სოციალურად დაუცველ ადამიანებს – მრავალშვილიან დედებს, უსინათლოებს, ომის ვეტერანებს, დევნილებს, უსახლკაროებს – შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. მუნიციპალიტეტში შექმნილია რამდენიმე კომისია, რომლებიც თანხების მიზნობრივად განაწილებას უზრუნველყოფენ. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში აღარ ფუნქციონირებს მუნიციპალური საავადმყოფო, რომელიც კერძო კომპანიამ შეისყიდა და ვფიქრობთ, ეს საკითხი სახელმწიფო ღონეზეა გადასაწყვეტი.

– გურია ყოველთვის იწონებდა თავს ქართული ჩაის წარმოებით...

– რეგიონში ამ კულტურის აღდგენა დაგეგმილია და ეს საკითხიც პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ღონეზეა მოსაგვარებელი. ვფიქრობ, ამ დარგის

აღორძინება მუნიციპალიტეტს მყარ დამატებით შემოსავლებს მოუტანს. ჩაი პერსპექტიული კულტურაა. მისი წარმოების ტრადიცია, ადგილობრივი რელიეფი და ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ მაღალტექნოლოგიური დამუშავების შედეგად ქართულმა პროდუქციამ ღირსეული კონკურენცია გააწვიოს მსოფლიოში აღიარებულ ბრენდებს.

– რამდენად რთულია ასეთი მრავალმხრივი მიმართულებების ხელმძღვანელობა?

– საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გათვითცნობიერებული მუნიციპალიტეტის გამგებლის როლი. ეს სუფთა სამეურნეო სამსახურია და მეურვე-მენეჯერის თვისებების ზედმიწევნით კარგად ფლობას მოითხოვს. მისხედა ქალაქის, სოფლების, ცალკეული თემების პრობლემები, ინფრასტრუქტურა, გარეგნული იერსახე, განაშენიანების და გენერალური გეგმის საკითხები. პარალელურად, მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თანადგომა და მულტივიზრუნვა ესაჭიროებათ. ძალიან რთულია ყველას გასწვდელად ყურადღება მიაქციო, თუმცა ვცდილობ კაბინეტში არ გამოვიკეტო და კონკრეტული სამეურნეო საკითხების მოგვარებასთან ერთად, მუდმივად ვიქონიო მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტი.

– საინტერესოა, რა პრინციპებით ხელმძღვანელობთ ცხოვრებაში და სამსახურში?

– მიმჩნია, რომ მთავარი ცხოვრებისეული პრინციპები სიმართლე, გულწრფელობა და საკუთარი თუ სხვისი ღირსების არშელახვაა. სახელმწიფო სამსახური ადამიანების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობასთან ერთად ზომიერ სიმკაცრესა და დისციპლინას მოითხოვს. სხვათადასთან ძალიან ძნელი იქნება იმ საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულება, რასაც საკუთარ ქალაქზე და ქვეყანაზე ზრუნვა, მისი უზარმაზარი ისტორიისა და წარსულის სიყვარული ჰქვია.



მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი მსოფლიო კულტურის მარგალიტია. მისი უნიკალური ნიმუშები – მომღერალთა, მოცეკვავეთა, ხალხურ მეღვინეთა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა სწორუპოვარი შემოქმედება – ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქართული ცეკვა და ზეპირსიტყვიერება საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. დროთა განმავლობაში გროვდებოდა, თვისობრივად და რაოდენობრივად იცვლებოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკა. პოლიფონიური იშვიათობით გამორჩეული გურული სიმღერა მხოლოდ ჩვენი საგანძური არ არის, მას, როგორც შედეგს, მთელი მსოფლიო აღიარებს, თუმცა თუ აქედანვე არ ვიზრუნეთ, სამომავლოდ, როდესაც აუცილებლად გაიზრდება ინტერესი გურული ფოლკლორული სიმღერებისადმი, ფაქტობრივად, დავდგებით იმის წინაშე, რომ ამ შედეგების მომავალი თაობისთვის გადასაცემად პედაგოგი არ გვეყოლება. სწორედ ამ გარემოების გამოსასწორებლად წამოიწყო ფრიად მნიშვნელოვანი და მამულიშვილური საქმე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ავთანდილ სურგულაძემ, რომელსაც გრანდიოზული პროექტის განხორციელება აქვს მიზნად დასახული...



„ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქი“

– ბატონო ავთანდილ, სანამ რაიონის კულტურულ ცხოვრებაზე და ამ მიმართულებით სამომავლო პროექტებზე გკითხვათ, ორიოდე სიტყვით მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სიახლეებზე მოგვიყვით...

– ოზურგეთის რაიონში გვემის მიხედვით მიმდინარეობს, როგორც დაწყებულ, ასევე ახალ პროექტებზე მუშაობა. საკრებულო და გამგეობა ურთიერთთანამშრომლობით ცდილობს რაციონალურად გადაანაწილოს რაიონის ბიუჯეტი და მოსახლეობის ელემენტარული მოთხოვნები შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს. ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურულ მიმართულებას, მიმდინარეობს მერია-ლაითურის ზიდის მშენებლობა, ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, გაგრძელდება სოფ. ოზურგეთი-მელექედური-ღვამბუს გზის მშენებლობა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მოეწყობა მრავალსართულიანი ბინების ეზოები და მისასვლელი გზები, დასრულდება სოფ. ასკანა-მზიანი-მთისპირი-მშვილობაურის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. რაც შეეხება შიდასახელმწიფობრივი მნიშვნელობის გზებს, ამ მხრივ

საგულისხმოა, რომ დაგეგმილია შემოქმედი-გომისმთის და ღვამბუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის 1,3 კმ. მონაკვეთის, აგრეთვე საჯავახო-ოზურგეთი-ქობულეთის გზისა და ლიხაურის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის დამაკავშირებელი გზის 1,5 კმ. გზის რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანია სოციალური ფონის გაჯანსაღება და კერძო სექტორის წახალისება დასაქმების სფეროს გაუმჯობესების მიზნით. ვფიქრობთ, რომ მომავალი ადგილობრივი არჩევნების შედეგად, გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, სიტუაცია უფრო სტაბილური გახდება.

– კულტურულ სფეროში თქვენი საქმიანობის შესახებ რას გვეტყვით?

– მნიშვნელოვანია, რომ განვიღო პერიოდში არაერთი კულტურული ღონისძიება განვახორციელეთ. ადვანსინეთ სახალხო დღესასწაულების ტრადიცია, რომელთა მიზანია, როგორც



ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, ისე საკურორტო ზონის გამოცოცხლება, დამსვენებელთათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა და ტურიზმის პოპულარიზაცია. ჩვენი მცდელობის შედეგად აღდგა „გომისმთობის“ დღესასწაული, რომლის ღონისძიებებიც ღია ცის ქვეშ ჩატარებული კონცერტებით და სპორტული შეჯიბრებებით იყო წარმოდგენილი. რეზონანსულ და პოპულარულ დღესასწაულთან უსხაში, რომელთაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ავნიშნავთ, საპატიო ადგილი უკავია „ექვთიმობას“ ექვთიმე ლეთისკაცის წმიდანად შერაცხვის დღეს, „ალეცრობას“, აგრეთვე ვიორგი სალუქვიძის სახელობის ქორეოგრაფიულ ფესტივალს.

– დიდი რეზონანსი მოჰყვა თქვენს რაიონში „კალანდობის“ აღნიშვნას...

– კალანდის დღესასწაული ოზურგეთში, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ძველი ტრადიციების აღდგენით და იმპროვიზირებული რიტუალთა აღნიშვნა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, იმერეთის გუბერნატორი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სტუმრები ყველა იმ რიტუალის მომსწრენი გახდნენ, რომელსაც ძველად, წლების წინ ასრულებდნენ გურულები. ყველაფერი წრფელი გულით და დიდი სიყვარულით იყო გაკეთებული. წარმოვჩინეთ ის მთავარი ღირებულებები, რომელიც ჩვენს ერში ტრადიციულად არის დამკვიდრებული. სახალხო ზეიმი, ოჯახის სიწმინდე და საეკლესიო საფუძვლები ერთად იყო გაერთიანებული.

– როგორც ვიცა, თქვენ დიდ მამულიშვილურ საქმეს - სალოტბარო სტუდიას ჩაუყარეთ საფუძველი...

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სალოტბარო სტუდია ჩემი ხელმძღვანელობით გასული წლის 1 თებერვლიდან შეუდგა მუშაობას. დავწერეთ პროექტი, წარვუდგინეთ საკრებულოს, განიხილეს, მოიწონეს, გამოყვეს ფინანსები და მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ძალისხმევით, პრაქტიკულ საქმიანობას შევუდგეთ. მომავალ ლოტბარებს მეცადინეობებს, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღიურად ჩაუტარებენ ისეთი ცნობილი ლოტბარები და პედაგოგები, როგორებიც გახლავთ ტრისტან სინარულიძე, ამირან გოლიაძე, ბიძინა მუავია, მამუკა რუსიძე. სტუდიაში მასტერკლასებს ჩაატარებენ ანზორ ერქომაიშვილი და ჯემალ ჭკუასელი. აქვე მოვიწვევთ ასევე სხვა კუთხეების ქართული სიმღერების შემსწავლელ ლოტბარებს სამეგრელოდან, იმერეთიდან, კახეთიდან და ა. შ. სტუდიის კურსდამთავრებულს მინიმუმ 160 ქართული სიმღერა ეცოდინება. სტუდიის მოსწავლეები წელიწადში ორჯერ საზოგადოების წინაშე წარსდგებიან საანგარიშო კონცერტით, რომელსაც საგამოცდო კომისია ჩაიბარებს. ერთ წელიწადში სტუდიის ბაზაზე შეიქმნება ანსამბლი „საუნჯე“. სწავლება ოთხ-წლიანია და მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია 120 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, დათო ცინცაძის თაოსნობით დავაარსეთ საგალობლების სკოლა. საიდანაც შერჩეული, საუკეთესო ბავშვები თბილისში ისწავლიან. ისინი სწავლის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი პირობებით და კვებით, უკან კი გარანტირებული დასაქმების პერსპექტივით დაბრუნდებიან.

– თქვენს სამომავლო პროექტზე მოგვიყვებით...

ჩვენს პროექტს – „ოზურგეთი – ფოლკლორის ქალაქი“ ჰქვია. საინიციატივო ჯგუფის წევრები დიდი ხანი ვმუშაობდით ამ თემაზე და მივედით დასკვნამდე, რომ გურული სიმღერების პოპულარიზაციის მიზნით, აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა, ფოლკ-ტურიზმის დაფუძნება, ტურისტული მარშრუტების განხორციელება, რათა ხალხს ჩვენი ადათ-წესი, ფოლკლორი გავაცნოთ. გვინდა, რომ ბატონი ანზორ ერქომაიშვილის დახმარებით გავაკეთოთ ხმის ჩამწერი სტუდია ოზურგეთში. ერთობლიობაში ეს სიან-



ლები, ნოვაციები, დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს გურიის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჩამოვლენ სტუმრები, გაიზრდება ოჯახური სასტუმროების მოთხოვნა. გაკეთდება მუდმივი სცენა, სადაც ჩატარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით სრულდება ღია დარბაზის რესტავრაცია, სადაც მსოფლიო ღონის ღონისძიებები ჩატარდება. შეიქმნება მუსიკალური ანსამბლები მთელი გურიის მასშტაბით და მათ ექნებათ მუდმივი შემოსავლის წყარო. ამის შედეგად ოზურგეთი გადაიქცევა ნამდვილ ფოლკლორის ქალაქად. ეს ყველაფერი სოლიდურ თანხებს მოითხოვს, თუმცა მიმანია, რომ ასეთი პატრიოტული და ეროვნული საქმისთვის ღირს დიდ დაფინანსებაზე წასვლა.

მეტი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში



ბოლნისი – საქართველოს რაიონების დიდი უმრავლესობისაგან სწორედ სამრეწველო პოტენციალით გამოირჩევა, თუმცა რაიონის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობის სექტორის, როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტანი ძირითადი სფეროს განვითარებაზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშ-

ნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე საოჯახო მეურნეობები დომინირებენ. დღეს, ახალი მთავრობის პირობებში, საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მართებული გადაწყვეტილების მიღება, სწორი კურსის არჩევა და საქმისადმი პრაგმატული დამოკიდებულება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მესიჯები აშკარად მიუთითებს, რომ ასეთ ვითარებაში ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები ქვეყნის სტაბილურობის გარანტი უნდა გახდეს. რეგიონების ინფრასტრუქტურული თუ კულტურული განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის წინსვლა, დღეს სწორედ რეგიონებზეა დამოკიდებული.

უახლოეს მომავალში სურათი, საგარაუდოდ შეიცვლება, რაც ახალი მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ საკითხების განსახილველად, ჩვენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქალბატონ **აღმაქსანდრა ობოლძას** ვესტუმრეთ.

– ქალბატონო აღმაქსანდრა, რა სიტუაციაა დღეს ბოლნისის რაიონში?

– ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქალაქი ბოლნისი და 14 ტერიტორიული ორგანო შედის – კაზრეთი, თამარისი, ნახიდური, ტალავერი, მამხუტი, რაჭისუბანი, რატევიანი, ქვემო ბოლნისი, ბოლნისი, აკაურთა, დარბაზი, ტანძია, ქვეში და დისველი. მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა. თანამდებობაზე ჩემი დანიშნვის შემდგომ, რაიონში განხორციელდა მანამდე შეჩერებული არაერთი პროექტი, გამოცხადდა ტენდერები, სოფლის პროგრამების ფარგლებში დაინარჯა 1 მლნ. 300 ათასი ლარი, გარემონტდა 3 საბავშვო ბაღი, გაკეთდა შიდა გზები და მოგვარდა სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები.



– საქმიანობის გაგრძელებას რა მიმართუ-

ლებით აპირებთ?

– რაიონის მუნიციპალიტეტში გაგრძელდება ყველა ის პროექტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ მიმართულებად არის აღიარებული. ამისათვის საჭირო თანხები ინფრასტრუქტურის საკითხებში რეგიონალური განვითარების ფონდიდან უკვე გამოყოფილია. 2014 წლისათვის დაგეგმილია ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია, ბოლნისის თემურ სტაფანიას სახელობის სტადიონის და მიმდებარე სპორტული ბაზის განახლება. სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამისთან დაკავშირებით წინასწარი კონსულტაციები უკვე გავლილია. გამოყოფილი სუბსიდიებით ვაპირებთ გზების გაკეთებას, სარწყავი არხების და კანალიზაციის რეაბილიტაციას, შეძლებისდაგვარად ვეცდებით მოვავაროთ რაიონის გაზიფიცირების და სასმელი წყლით მომარაგების საკითხები.



– ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულებით რა ვითარებაა?

– როგორც მოგესხენებათ, ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს. ვფიქრობ, სახელმწიფოში ამოქმედებულმა საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ გარკვეულწილად უკვე



გამართლა, თუმცა მისი მოსახლეობამდე სრულყოფილად მიტანის საკითხი ჯერ კიდევ დასახვეწია. რაიონში მოქმედებს რამდენიმე ამბულატორია, თუმცა მათ თანამედროვე აპარატურით აღჭურვა ესაჭიროებათ. ახლო მომავალში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ერთ-ერთი მსხვილი კაზრეთის ამბულატორია შესაძლებელია ახალ ინვესტორს გადაეცეს, რომელსაც უკვე გააჩნია მსგავს სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, მატერიალური დახმარება გაეწეათ სოციალურად გაჭირვებული



კატეგორიის მოქალაქეებს, ავადმყოფებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს.

- საგაზაფხულო სამუშაოებს როგორ ხედება რაიონში?

- მოახლოებულ პერიოდთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა ვაუჩერიზაციის საკითხი. პრობლემა ძალზედ აქტუალურია და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. როგორც ცნობილია, ბენეფიციარები მიიღებენ ვაუჩერს, რომლითაც საშუალება ექნებათ შეიძინონ ხვნის სერვისი, კულტივაცია, სასუქი ან სათესლე მასალა. მუნიციპალიტეტში აქტიურ საქმიანობას ვახორციელებთ მოსახლეობის სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით, რათა არ განმეორდეს შარშანდელი სიტუაცია და აღამიანების გარკვეული კატეგორია კვლავ ვაუჩერების გარეშე არ დარჩეს.

- მრავალეროვანი რაიონის ხელმძღვანელობა ხომ არ გიმნელდებათ?

- ქვემო ქართლი ზოგადად, მრავალეროვანი რეგიონია, თუმცა, საბედნიეროდ ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე აქ არანაირი შუღლი და დაპირისპირება არ არსებობს. ჩვენი რაიონის მოსახლეობის 67% აზერბაიჯანელი ეროვნებისაა, მყავს აზერბაიჯანელი მოადგილე, ბა-

ტონი ლონგინოზ გასანოვი. ამ მიმართულებით რეგიონის მთავარ პრობლემას ენობრივი ბარიერი და ქართულ საზოგადოებაში მეტი ინტეგრაცია წარმოადგენს. ბარიერების მოხსნა თვითონ მოსახლეობის დიდი სურვილიცაა და ამ კუთხით ვცდილობთ მაქსიმალურად ეფექტურად ვიმუშაოთ.

- იმედია, წარმატებები არ დაახანებს...

- გამგებლის საქმიანობა ძალზედ შრომატევადია და მუშაობა, ფაქტობრივად, უწყვეტ, 24 საათიან რეჟიმში გვიწევს. ვფიქრობ, ის გეგმები, რომელიც ქვეყნის მთავრობამ სამოქმედოდ დაისახა, სწორედ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა მოიყვანოს სისტემაში და უზრუნველყოს მათი შესრულება. სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული მიმართულების საკითხების რეგულირება, მოსახლეობაზე ზრუნვა და მათი პრობლემების მოგვარება ჩვენი უპირველესი და უმთავრესი საქმეა, ამიტომ ვაპირებთ მომავალშიც გააგრძელოთ რაიონის მაცხოვრებელთა ჭირ-ვარამის გულთან მიტანა და შესაბამისი თანადგომა.



საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, ქვეყანაში პრიორიტეტული პროექტების განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს. ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვნად განაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა და რაიონებში მიმდინარე ზენა-თესვის სამუშაოები. ქვემო ქართლში, კერძოდ კი ბოლნისის მუნიციპალიტეტში აქტიურად განიხილება ფერმერთა პრობლემები და მათი წახალისების საკითხები. დღის წესრიგში დგას ინფრასტრუქტურული და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. ფაქტია, რომ ამ სექტორში არსებული სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ჯონი ხუჯარიანი** მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა.



ვცდილობთ მოქალაქეებს მაქსიმალურად დავეხმაროთ



– წარმატებით გრძელდება მცირემიწიან ფერმერთა სავაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის პროცესი. ბენეფიციართა სიებში არსებული ხარვეზები აღმოფხვრილია და მასში ის პირებიც შედიან, რომლებმაც შარშან სახელმწიფოსგან დახმარება ვერ მიიღო. ძირითადი პრობლემა, რომელსაც ფერმერები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანისათვის ყიდულობენ და მოიხმარენ, არის პესტიციდები, აგროქიმიკატები, სხვადასხვა კულტურის თესლი და შინაური პირუტყვის სამეურნეო საშუალება. ამ მიმართულებით პრობლემას ქმნიდა ის ფაქტი, რომ ფერმერებს არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია შემენილი პროდუქციის მოხმარების წესის, ვადისა და თავისებურების შესახებ. აქედან გამომდინარე, ვცდილობთ მაქსიმალურად დავეხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს, რათა უზრუნველვყოთ გადაცემული საწარმოო კაპიტალის ოპტიმალური გამოყენება.

- **ბატონო ჯონი, რა მდგომარეობაა რაიონში?**
- რაიონში მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დასახული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ვაპირებთ წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის დასრულებას, მოსახლეობისთვის სასმელი და სარწყავი წყლის სტაბილურ მიწოდებას. დაგეგმილია დაბა კაზრეთისა და სოფელ ბალიჭში არსებული ბაღების გარემონტება. ვაპირებთ მოვაწესრიგოთ სიონის მიმართულებით არსებული გზის რკინიგზის ხიდის მიმდებარე მონაკვეთი და საცხოვრებელი კორპუსების სახურავების გადახურვა.
- **სოციალურ-ეკონომიკური კუთხით რა ვითარებაა?**
- ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეებია. კერძო სექტორის წახალისებისა და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნის შედეგად, რაიონში მუშაობა დაიწყო მეღორეობის კომპლექსმა, გაიხსნა რამდენიმე მცირე საწარმო, სოხისის და ძეხვის მწარმოებელი საამქროები, საქონლის სასაქალო. შესაბამისად, დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. რაიონში მოქმედებს ვერმანელი ინვესტორების მიერ აღდგენილი სასტუმრო „ძველი წიცილი“, რომელიც ტურისტების მოზიდვისა და მათთვის სერვისის შექმნის კუთხით ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.
- **სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა როგორ მიმდინარეობს?**

– **რაიონის ახალგაზრდობის წახალისებას როგორ აპირებთ?**

– ვცდილობთ მრავალფეროვანი გავხადოთ ბოლნისის რაიონის კულტურული და სპორტული ცხოვრება. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მილიონ 100 ათასი ლარი გამოგვიყო ბოლნისის „სიონის“ სტადიონის აღსადგენად. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულია თანხა ნახიდურის სტადიონის რეაბილიტაციისთვის, რომელიც ადგილობრივ სარაგბო გუნდს გადაეცემა. მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ქალაქ ბოლნისში შესაბამისი ტერიტორიის გადმოცემასთან დაკავშირებით. შესაბამისი პროექტების დამტკიცების შემთხვევაში იგეგმება ორი ახალი სტადიონის, საცურაო აუზისა და სასტუმროს მშენებლობა. მიმაჩნია, რომ კულტურულ-სპორტული ურთიერთობები მოზარდ-ახალგაზრდობას ურთიერთობების გამყარებასა და მათ შორის ეთნიკური პრობლემების აღმოფხვრაში დაეხმარება.



ასფალტის ქარხანა "ტელტომატი"



www.teltomati.com

info@teltomati.com



სამშენებლო ქარხანა „ტელტომატი“ 1990 წელს, მაღალკვალიფიციური, გზების მშენებლობის საქმეში დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ დაარსდა და დღეს ამ საწარმოს ბატონი გურამ ქუთათიაშვილი ხელმძღვანელობს.

ორგანიზაციას გააჩნია, როგორც გერმანული წარმოების ასფალტო-ბეტონის ქარხანა, რომლის წარმოება სააოში 100 ტონას შეადგენს, ასევე მიკრო და ავტომატური ქარხნები. კომპანია ძირითადად ადგილობრივ, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულზე მუშაობს, რომელსაც თერჯოლის და ვანის რაიონიდან იღებს.

ასფალტო-ბეტონის ნარევის დამზადება ხდება საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ მიერ დამტკიცებული რეცეპტით.

„ტელტომატი“ ამზადებს ყველა ტიპისა და მარკის ხარისხიან ასფალტო-ბეტონის ნარევს:
ტიპი „ა“ / მარკა I

სახეობა: ცხელი, წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, რომელიც გამოიყენება I - II კატეგორიის საავტომობილო გზის საფარის ზედა ფენის მოსაწყობად.
ტიპი „ბ“ / მარკა I

სახეობა: ცხელი, წვრილმარცვლოვანი, (20 მილიმეტრამდე) მკვრივი, რომელიც შეიძლება გამოიყენებული იქნას საავტომობილო გზის საფარის ზედა ფენის მოსაწყობად.
ტიპი „ბ“ / მარკა II

სახეობა: ცხელი, წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, რომელიც გამოიყენება III - IV კატეგორიის საავტომობილო გზების საფარის მოსაწყობად.
ტიპი - „დ“ / მარკა I

სახეობა: ცხელი, წვრილმარცვლოვანი, ფორიანი, რომელიც გამოიყენება საავტომობილო გზის საფარის ქვედა ფენის მოსაწყობად.



ყველა პროექტი ხალხისთვის ათილდღაოზის მომხანი უნდა იყოს



– ბატონო ზაზა, რა მდგომარეობა დაგხვდათ მუნიციპალიტეტში?

– უამრავი პრობლემა გვაქვს, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეული სასმელი და სარწყავი წყლის საკითხებია, რადგან ამ მიმართულებით წლებია არაფერი გაკეთებულა. ვცდილობთ, რომ ეს პრობლემა მოსახლეობისთვის სასიკეთოდ გადავჭრათ. თანამდებობაზე მოსვლის დღიდან აქტიურად ვხვდები სოფლის მოსახლეობას და მათ პრობლემებს ადგილზე ვეცნობი, რათა პროექტების განხორციელებისას მათი მოთხოვნა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ასეთ შეხვედრებს პერმანენტული სახე აქვს და ძალიან ეფექტურად მუშაობს. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს.



– რაიონის განვითარების პერსპექტივაზე მოგვიყვით...

– როგორც იცით, გარდაბანი უდიდესი ტრადიციების მატარებელი აგრარული რაიონია. წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა და სწორედ ამ კუთხით ვცდილობთ შევქმნათ ეკონომიკურ-მატერი-ალური ბაზა, რომელიც პრობლემების გადაჭრის საშუალებას მოგვცემს. პროექტები, რომლის განხორციელება ჩვენს რაიონში უკვე დაწყებულია, სამომავლოდ სასიკეთო ძეგრებს დაგვანახებს. გარდაბანს განვითარების უამრავი წინაპირობა აქვს და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციით სოფლის მეურნეობის დარგების უფრო მეტად განვითარების საუკეთესო პერსპექტივა იქმნება.

– სოფლის განვითარების გეგმა როგორია?

– გარდაბანი 19 საკრებულოს და მასში შემავალ 53 სოფელს აერთიანებს. მათი დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობით არის დაკავე-

ბარდაბანი, როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაიონია. ამ მუნიციპალიტეტში მდებარეობს თბილსრესი, ე.წ. „გრესი“, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში ერთ-ერთ უმსხვილეს და უმნიშვნელოვანეს ობიექტად ითვლება. 2012 წლის 25 დეკემბრიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ზაზა მონიანი** ხელმძღვანელობს. იგი პროფესიით ექიმ-გენტ-ერინარია, არის ახალგაზრდა, გამოირჩევა საქმისადმი დაუღალავი მიდგომითა და ჯანსაღი ხედვით. გარდაბნის მუნიციპალიტეტის პირველი პირი სამომავლოდ უამრავი გეგმის განხორციელებას აპირებს და სურს, რომ მოსახლეობისათვის წლობით გადაუჭრელი პრობლემები რაც შეიძლება დროულად და ეფექტურად მოაგვაროს, რა თქმა უნდა, ცენტრალური ხელისუფლების თანადგომითა და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით.

ბული და სტრატეგიაც ჩვენი მხრიდან მაქსიმალურ დახმარებაში, სახელმწიფო მხარდაჭერაში მდგომარეობს. ვგულისხმობ მიწის ვაუნერებს, რომლის დარიგება გასულ წელს განხორციელდა და წელსაც, საგაზაფხულო საშუაობების ჩასატარებლად კვლავ ურიგდება მოსახლეობას. აქტიურად ვმუშაობთ რაიონში სოფლის განვითარების კუთხით. ამ მიმართულებით ჩემი ხედვა ასეთია: მეტი ყურადღება სოფელს, რადგან ძლიერი სოფელი, ძლიერი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, საუბარს სჯობს, საქმით დავამტკიცოთ ყოველივე. სოფლის მეურნეობის წარმატებული პროექტების ხორცშესხმამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს.

– ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობაზე გვესაუბრეთ...

– ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება თანხებთან ერთად, ადამიანურ ძალისხმევასაც საჭიროებს. გამოცდილებაზე გვიჩვენა, რომ უხარისხოდ შესრულებული საქმე ფინანსებსა და დროს გვაკარგვინებს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ ასეთ საკითხებს ყურადღებით და გულისხმიერად მივუდგეთ. სარწყავი და სასმელი წყლის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია. ახალი პროექტების განხორციელებაში აქტიურ მხარდაჭერასა და თანადგომას გვიცხადებს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. მტკივნეულად დგას გზების პრობლემა, ვინაიდან მკაცრმა ზამთარმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ასევე დაწყებულია და ვიმედოვნებ, მალე დასრულდება.

– უფრო კონკრეტულად, რა პროექტებზეა საუბარი?

– მალე მიიღებენ წყალს სოფლები ახალი სამგორი და ლემშენიერა. იანვრის თვეში გარდ-



აბანში დაიწყო 230 მეგავატიანი ვაზო-ტურბინის მშენებლობა, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი დასაქმდებიან. სოფელ კალინი-ნოში გაიხსნა ცხოველთა გრანტირებულ-კომბინირებული საკვების მწარმოებელი საწარმო, სადაც 40 დასახელების გრანტირებული მარცვლეული იწარმოება და ნედლეული ადგილობრივი ფერმერების მიერ არის მოყვანილი. ინვესტიცია უცხოურია, თუმცა ობიექტზე 25 ადამიანი დასაქმდა, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. გარდა ამისა, კრწანისში, აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ინკუბატორი და მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმო - შპს „საბუღარა“ გაიხსნა, სადაც ასევე ჩვენი თანამოქალაქეები არიან დასაქმებული. აქტიური თანამშრომლობით ბევრი რამის მიღწევა შესაძლებელი და ასე, მცირე და მსხვილი საწარმოების გახსნით, უცხოური და ადგილობრივი კერძო ინვესტიციებით თუ სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებით ქვეყნის ეკონომიკა თანდათანობით განვითარდება და შესაბამისად, უმუშევრობა დაიძლევა.

– მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის რა კეთდება?

– ახალგაზრდობას დასაქმების საშუალება უნდა მიეცეს და ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნასთან. მათი და ზოგადად, ჩვენი მოქალაქეების დასაქმება ძირითადად კერძო სექტორში უნდა ხდებოდეს, თუმცა ამ საქმეში სახელმწიფო სტრუქტურებიც უნდა მონაწილეობდნენ. მუნიციპალიტეტში გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და შედეგებით კმაყოფილი დაგრჩით. ეს კიდევ ერთი ნაბიჯია, დავძლიოთ უმუშევრობა. იმედი მაქვს, რომ ერთიანი ძალებით, დასაქმების პრობლემებიც ეტაპობრივად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარალელურად გადაიჭრება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ჩვენი რაიონის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სპორტით არის დაკავებული და ამ კუთხით უდიდესი ტრადიციები გვაქვს. ახლახან, ახალგაზრდა ძიუდოსტმა, ჩვენი რაიონის მკვიდრმა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა, პარიზის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. მომავალი თაობისთვის ფუნქციონირებს სპორტული კომპლექსები, მინი-სტადიონები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბაზაზე შექმნილია უამრავი წრე, რომელიც მათ პროფესიის არჩევაში ეხმარებათ. მუნიციპალიტეტი წარმატებულ სტუდენტებს, სპორტსმენებს და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ახალგაზრდებს ყველანაირად უდგას გვერდში, რადგან მათთვის გაწეული დახმარება მომავალში სასიკეთოდ დაგვიბრუნდება.

– სამედიცინო სფეროში რა მდგომარეობაა?

– სოფლებში ფუნქციონირებს ამბულატორიები, რომლის მედ-პერსონალი მოსახლეობას ადვილზე უწევს სამედიცინო დახმარებას. ჯანდაცვის სამინისტრო ეტაპობრივად იწყებს არსებული და ახალი ამბულატორიების ტექნიკით გადახალისებას და აღჭურვას საქართველოს მასშტაბით. რაიონს ემსახურება „ჯეო-ჰოსპიტალი“, რომლის მომსახურებით ყველა კმაყოფილია, რადგან სამსახური უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი და იქ გამოცდილი მედიკოსები საქმიანობენ. გამართულად მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომელიც მობილური და ეფექტურია.

– რა დახმარებები გაამოყოფილი სოციალუ-

რად შეჭირებული ფენისთვის?

– ეს მიმართულება, პირადად ჩემთვის, ყველაზე დიდი საზრუნავია. ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, ვცდილობთ გულისხმი-ერნი და დაფიქრებული ვიყოთ, რადგან ჩვენი დახმარება ხშირად გადამწყვეტი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სოციალურად შეჭირებული ფენისთვის გამოყოფილია ერთჯერადი მატერიალური დახმარება, საოპერაციო და მედიკამენტებისათვის შესაძენი თანხა. მერწმუნეთ, ვცდილობთ მაქსიმუმი შევძლოთ ამ მიმართულებით, რომ გაჭირვებულ ადამიანებს ყოფა შეუქმსუბუქეთ და შეძლების-დაგვარად გვერდში დაუდგეთ.

– კულტურულ სექტორში რა სიახლეებია?

– ვცდილობთ გვერდში დაუდგეთ და დასახული მიზნების განხორციელებაში ფინანსური და ადამიანური თანადგომა გავუწიოთ იმ დარგებს, რომლებიც ადამიანების სულიერ აღზრდას ემსახურებიან, თუმცა სპექტაკლებითა და კონცერტებით დიდად არ ვართ განებივრებული. გვყავს ფოლკლორული ანსამბლი „ბეთანია“, რომელზეც, როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ისე გარდაბნის ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს. ჩვენს რაიონში ფუნქციონირებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც ბევრი სიძველეა დაცული. გვაქვს ბიბლიოთეკა, უამრავი საინტერესო და ფასეული წიგნით. მე და ჩემს თანამოაზრეებს გვინდა პირნათლად მოვიხადოთ ვალი ქვეყნის წინაშე. ყველა პროექტი ხალხისათვის კეთილდღეობის მომტანი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, კურსი, რომელიც სახელმწიფოს აქვს აღებული, ნამდვილად მივიყვანს იმ მიზნამდე, რასაც ღირსეული და წელში გამართული საქართველო ჰქვია.



ქონარეზული ნაბიჯები გადადგმულია




2013 წელი საქართველოსთვის დიდი გამოწვევების წელი იყო. მიუხედავად არაერთი პრობლემისა და სირთულისა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაუტოვა, მთავრობამ და ქვეყნის ხელმძღვანელობამ დასახულ ამოცანებს წარმატებით გაართვა თავი. ცენტრსა თუ რეგიონებში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით სრულად შეიცვალა მიდგომები, ტენდერები გახდა გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი; შემუშავდა ხარისხის ახალი სტანდარტები და გაიზარდა მათი კონტროლის მექანიზმები, შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. აქცენტები გაკეთდა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. ახალი მთავრობის მიერ მიღებული აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია სოფლის მეურნეობის განვითარების დიდ პოტენციალს ხედავს, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლებებიც: ფერმების მცირე ზომა; მომსახ-

ურების შეზღუდული არეალი; ხეხილის ხანდაზმულობა; მეწარმეების მიჯაჭვულობა ადგილობრივ ბაზრებზე, რეგიონის მაღალმთიანი რელიეფი, რაც ექსპორტის შემთხვევაში ადეკვატურ ხარისხზე ფასების დაწესებას და ზოგადად რაიონებში წარმოების განვითარებას ნაწილობრივ აბრკოლებს. ქედის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ლუკაშვილი** დარწმუნებულია, რომ სწორი მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით და ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განვითარებით ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია...

- ბატონო დავით, რა ვითარება დაგხვდათ რაიონში?

- ქედის რაიონი, ქართულ წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში შეტანილი თავისი მოკრძალებული წვლილით, ოდითგანვე გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების უკონტროლო და უპასუხისმგებლო საქციელმა ამ მიმართულებების მოშლა და სტაგნაცია გამოიწვია. გაჩერებული დაგეგმვა და არ ფუნქციონირებდა რაიონში არსებული ღვინის და ხილის წველების საწარმოები, გაყიდულია ჩაის ფაბრიკა და მანქანათმშენებელი ქარხანა. დაუყოვნებლივ ვაპირებთ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების ქვეყნის სამსახურში დაბ-

რუნებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, უახლოეს ხანში, მოლაპარაკებების დასრულებისთანავე დაბა ქედაში გაიხსნება სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც ასევე



დადებითად იმოქმედებს მუშახელის დასაქმებაზე. თვითდინებაზე მიშვებული ყველა მშენებლობა თუ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი მკაცრ კონტროლზე იქნა აყვანილი. ყურადღება მიექცა გზებსა და წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს.

– უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვასწავლებთ?

– ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯებით დაფინანსდება რამოდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი. მოსახლეობას უნდა მოეუფლოთ სასმელი წყლის პრობლემა, ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია და 410 კილომეტრზე მიღები უკვე დაგეგმილია. საკმაოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი დაბა ქედას სანიადვრე და საკანალიზაციო სისტემების მოსაწესრიგებლად. ეს ყველაფერი მაღალი ხარისხით და ევროპული სტანდარტების დონეზე გაკეთდება.

– კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს...

– 2013 წელს ჩვენს რაიონს დაახლოებით 40 000 ტურისტი ესტუმრა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვია. მუნიციპალიტეტი და გამგეობა ამ მხრივაც დაინტერესებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და ევროსტანდარტებთან მიახლოებით. მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები სხვადასხვა სტრუქტურებთან და ბიზნესმენებთან 4 ან 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის თაობაზე, რასაც დაახლოებით 1,5 მლნ. ლარი დასჭირდება. ვფიქრობ, ეს საკითხები დადებითად გადაწყდება, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს რაიონის ეკონომიკურ განვითარებას.

– სამომავლოდ რა პროექტები გაქვთ დაგეგმილი?

– ჩემი დიდი სურვილია ქედაში მთელი სიმძლავრით ამუშავდეს ადგილობრივი ღვინის ქარხანა. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადავდგით და როდესაც ყველაფერი დასრულდება, რაიონს ევროპული სტანდარტების ქართული ღვინის საწარმო ექნება. ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ჯანდაცვის პროგრამებს და სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარების საკითხებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 12-ბინიანი სახლის მშენებლობა, სადაც, სხვა ბენეფიციარებთან ერთად,

უსახლკაროდ დარჩენილ ცხრა ოჯახს გამოუვნახავთ ადგილს. გარდა ამისა, 5 სოფლის, მათ შორის უჩხითის მიმართულებით, იგეგმება 7-კილომეტრიანი ასფალტის საფარის გზების დაგება. ეს



პროექტები დაახლოებით 3 მლნ. ლარის ინვესტიციას მოითხოვს, თუმცა გამგეობა ძალ-ღონეს არ დაიშურებს საკითხების დადებითად გადასაწყვეტად.

– რაიონის კულტურულ ცხოვრებაში რა სიახლეებია?

– რაიონის მუნიციპალიტეტისა და გამგეობის დაფინანსებით



ბით საახალწლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა. ადგილობრივი ანსამბლი „ელესა“ იმყოფებოდა ლატივიაში ხალხური სიმღერების ფესტივალზე, სადაც დიდი წარმატება ხვდათ წილად და სამომავლოდ ოფიციალურად იქნენ მიწვეული ევროპის 4 ქვეყანაში. მჯერა, რომ ასეთი ურთიერთთანადგომით, კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთშერწყმით, წინსვლითა და განვითარებით საქართველოს მალე მოევლება და ქვეყანა მყარად დადგება აღმავლობის გზაზე.



მსოფლიოს ექსპერტთა რეკომენდაციების თანახმად, თანამედროვე სამყაროში ქვეყნების რეგიონული განვითარება მუდამ პრიორიტეტულია. მიუხედავად ამისა, საქართველოში წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ამ მიმართულებით გადაწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. ახალმა რეალობებმა დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონალურ სექტორზე აქცენტების გადატანა და ქვეყნის დეცენტრალიზაცია. ახლანდელ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი პროექტები, რომელიც სრულიად ცვლის აქამდე დამკვიდრებულ მანკიერ სისტემას. რეფორმების შედეგად, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. მერებს და გამგებლებს პირდაპირი წესით აირჩევს ხალხი. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიეცემათ თანხები და უფლებამოსილება, რათა საკუთარი პრობლემების გადაჭრა თვითონვე შეძლონ. გაიზრდება მოქალაქეთა ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში, გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი და

გუბერნატორთან ჩამოყალიბდება ადგილობრივი მერების, გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთან ერთად იზრუნებს თავისი რეგიონის განვითარებაზე. სანამ ეს სიახლეები ქვეყნის ცხოვრებაში რეალურად დაინერგება, რეგიონები წარმატებით ახორციელებენ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმიანობას, რომელსაც გარდამავალ პერიოდში ძირეული და საბაზისო მნიშვნელობა გააჩნია. ხონის რაიონში 2013 წელს გამგებელი, ბატონი ზურაბ ჯიბუხანი




განხორციელებულ პროექტებს, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ზურაბ ჯიბუხანი ხელმძღვანელობდა, ქვემოთ შემოგთავაზებთ...

ხარგად დაწყებული საქმე...



მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ძირითადი პრიორიტეტები და პროგრამები. მოხდა საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, დასუფთავების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელშეწყობა. წარმატებით განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა, შენახვა და დაფინანსება. ჩატარდა შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების წმენდა, სკვერებისა და დასასვენებელი პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები – რამაც ხელი შეუწყო მოსახ-



ლეობის დასვენების პირობების შექმნას.

გარდა ამისა, განხორციელდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალი-



ტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ხელი შეეწყო კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გავრძელებას. პრიორიტეტული იყო ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისათვის სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელდა კონკრეტული სამუშაოები. გორდის, გუბის, დედალაურის, კინჩხის, ძეძილეთის, მათხოჯის, კუხის, ნახახულევის და ქუტირის თემებში მოხდა შიდა გზების მოხრეშვა, სასმელი წყლის გაყვანა, გარე განათების სისტემების გაფართოება, სასაფლაოების შემორავვა, არტეზიული ჭების რეაბილიტაცია, მინისტრადიონების მოწყობა და სხვა.

სოფელ გორა ჯიხაიში განხორციელდა სოფლის მუზეუმის სახურავის კაპიტალური შეკეთება და კარ-ფანჯრების ბლოკების შეცვლა, შიდა გზების მოხრეშვა, ხიდ-ბოგირების მოწყობა, ანდრიაძეების უბანში მინდვრის მოსწორება, ხოლო ცაგარეიშვილების უბანში და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე განათების სისტემის მოწყობა. სოფელ ივანდიდში აშენდა მინისტრადიონი, შეკეთდა არსებული მოსაცდელი და ხიდი, მოხდა სკვერის კეთილ-

მოწყობა. სულ აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაზე დაფინანსებამ 505 180 ლარი შეადგინა.

აღნიშნულმა პროექტებმა განავითარა არამარტო ხონის მუნიციპალიტეტის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების ინფრასტრუქტურა, არამედ განაპირობა მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც მათ წლების განმავლობაში აწუხებდათ. სოფლის მცხოვრებლებმა თვითონ გადაწყვიტეს თუ რა პროექტები უნდა განხორციელებულიყო. მართალია, ყველა საკითხი ვერ მოგვარდა, მაგრამ დასაწყისი მეტად საიმედო იყო და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩა.

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში შეძლებისდაგვარად ახდენდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. გახშირებული სტიქიური მოვლენების, სახანძრო და სხვა შემთხვევების პრევენციის მიზნით ხორციელდებოდა პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარითა და სპეციალური უნიფორმებით უზრუნველყოფა. შენობა-ნაგებობაში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და მოთხოვნების გათვალისწინებით მაჩვენებლის ოპერატიული მოქმედებისათვის ხელშეწყობა.

ამ საქმიანობის შესაბამისად, საფუძველი ჩაეყარა სამომავლო გეგმებს და პერსპექტივებს, რომლებიც 2014 წლისთვის მოიცავს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, კულტურის განვითარებასა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.



„ჩვენი საქმიანობა ყოველმხრივ სავსუსისმგებლოა...“



გასული ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე, აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია. უგულებელყოფილი გახლდათ ქვეყნის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებები და ტრადიციები. ახალი მთავრობის პირობებში, ფინანსური და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, მთავარ გამოწვევად ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევა და შენარჩუნება იქცა. შესაბამისად, მთავრობის ერთ-ერთ საკვანძო პრიორიტეტად სწორედ რეგიონების განვითარება ჩამოყალიბდა. დაიგეგმა და გაიწერა რაიონებში საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები და სპორტული ინფრასტრუქტურის აღორძინება.

გრძელდება სოფლის პროგრამა, სარწყავი ინფრასტრუქტურის შექმნა და სოფლის გზების სამუშაოები. შესაბამისად, ადგილობრივ მმართველობებს დაეკისრათ მნიშვნელოვანი როლი, როგორც რეგიონული მეურნეობების ჩამოყალიბებასა და შრომითი რესურსების სრულ, ეფექტიან გამოყენებაში, ასევე ინფრასტრუქტურის ფორმირებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სახსრებია ქვემო ქართლში. ჩვენი ჟურნალი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **მერაბ თოფჩიშვილს** ესტუმრა, რომელიც ახალი პროექტების განხორციელებას ხელმძღვანელობს და პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

– ბატონო მერაბ, რა მდგომარეობა დაგხვდათ რაიონში?

– მარნეულის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე გასული წლის სექტემბერში დავინიშნე. გარდამავალი პერიოდის შესაბამისად, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, დასასრულებელი იყო მიმდინარე პროექტები, მისახელი გახლდათ საერთო დისციპლინა და დასარეგულირებელი – ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებული სუბსიდირების საკითხები. დღეისათვის სოფლის პროექტები პრაქტიკულად დამთავრებულია. ზედამხედველობის სამსახურთან ერთად წესრიგში მოვიყვანეთ სახელმწიფო მიწების განკარგვისა და იჯარის საკითხები, საგაზაფხულო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით დავიწყეთ შიდა სარწყავი არხების გაწმენდის სამუშაოები. ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული საპროექტო საქმიანობა ყველა მიმართულებით თანამიმდევრულად ხორციელდება. ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობს სოციალური პროექტების განხორციელება.

– 2014 წლის ბიუჯეტში რა პროექტები გაქვთ ჩადებული?

– მიმდინარე წლის ბიუჯეტში კვლავაც პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების მოგვარება. დაისახა რაიონში სასმელი წყლის და ქალაქის სანიტარული სისტემების სამუშაოები, მისახელია გზის საფარი და შიდა განათება. გასაკეთებელია სახლების სახურავები, მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემები და ჭაბურღილები. დევნილებს შევპირდით, რომ შეძლებისდაგვარად გააუმჯობესებთ სადარბაზოებს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია კონკრეტული თანხა ქალაქის მასშტაბით არსებული 9 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას პოლონეთისა და იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებთან, რომლებიც ამ მიმართულებით ნაწილობრივ თანადაფინანსებას გეპირდებიან. გვინდა ავაშენოთ ბიბლიოთეკა, რათა ახალგაზრდა თაობის განათლებას უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში დაგეგმილი გვაქვს სოფლების წერეთლისა და იარის მისასვლელი გზების მოწესრიგება, დევნილების დასახლებაში გასაკეთებელია გადასასვლელი ხიდი, ხოლო ხულოში მისასვლელი 5-კილომეტრიანი გზიდან დარჩენილია 1კმ. და 750 მ. მონაკვეთის სამუშაოები.

– რაიონის კულტურული ცხოვრება როგორ მიმდინარეობს?

– განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის სამინისტროს და კონკრეტულად ბატონი გურამ ოდიშარას, რომელიც რამდენჯერმე გვესტუმრა და განხილვების სისტემის სპეციალური აპარატურით დაგვაჯილდოვა. რაიონის ძალებით ჩავატარეთ საახალწლო ღონისძიება, სადაც აქცენტზე ადგილობრივ თვითშემოქმედებით კოლექტივებზე გავაკეთეთ. ზეიმში თავადაც უშუალოდ მონაწილეობდი. აღსანიშნავია, რომ მარნეულში მოქმედებს ქართული

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის 80% აზერბაიჯანელი ბავშვები არიან. მათ შორის ერთ-ერთმა საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა და გრანპრიც დაიმსახურა. სამომავლოდ, სხვადასხვა ღონისძიებების გარდა, კულტურის სამინისტროსთან ერთად, მარნეულში დაგეგმილია საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება. წარმატებით გვანებებებენ ჩვენი სპორტსმენ-



ნები. რაიონს ევროპის ჩემპიონები ჰყავს ჭიდაობასა და სპორტულ აკრობატიკაში. მადლობას ვუხდით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, რომელმაც კრივის არენა და ტაიკვანდოს ხალიჩები გადმოგვცა, რითიც დამატებითი სტიმული მისცა რაიონის ახალგაზრდობას სპორტული აქტიურობის მიმართულებით.

– რამდენად რთულია დასახული გეგმების განხორციელება?

– ჩვენი საქმიანობა ყოველმხრივ სავსუსისმგებლოა. როგორც მოგესხენებათ, ქვემო ქართლის რეგიონი სპეციფიკური და ეთნიკურად მრავალეროვანია. სწორედ ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობთ გავითვალისწინოთ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და მათ კეთილდღეობაზე ვიფიქროთ. აღნიშნულ თანამდებობაზე ჩემი ყოფნა ისეთი ხელისუფლების მოსვლამ განაპირობა, რომელიც ხალხზე ორიენტირებული და სამართლიანობის აღსადგენად იბრძვის. გარწმუნებთ, რომ იმ გამოცდილებას, რაც წლების განმავლობაში დამიგროვდა, ბოლომდე მოვახმარ ჩემი ქვეყნის წინსვლას და განვითარებას.



ურ-ეკონომიკური განვითარების გზის მოძებნა. ახლადარჩეულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გამოახსნოს გზები და მოახერხოს სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების გაუმჯობესება, სიღარიბის რეალური დაძლევა და ინფრასტრუქტურული განვითარება. ეს პრიორიტეტები ნამდვილად წაადგება, როგორც რეგიონების, ისე მთლიანად ქვეყნის აღმშენებლობას. სწორედ ამ მიმართულებით გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **მამუკა ჩოქარი**

საქართველოს, თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იშვიათად ჰქონია დაღუპილი ცხოვრება. მუდამ არსებობდა ის ხელისუფლებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, ერი სულიერად არ დატყვევდა და მუდამ პოულობდა რთული სიტუაციიდან გამოსავალს. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სტრატეგიული განვითარების მხრივ ახალი მიმართულებები და რეალობები გამოიკვეთა. განვითარება რამდენიმე ძირითად ფაქტორს ემყარება, რომელთა შორის სწორედ შერჩეულ პოლიტიკური მიმართულება და მასთან შევჯერებული ეროვნული მეურნეობის განვითარების ოპტიმალური ეკონომიკური მოდელია. ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რომელთა გათვალისწინების გარეშე, ქვეყანაში შექმნილი ვითარების დაძლევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დღეს ქართული საზოგადოება გარკვეულწილად, კვლავ დაპირისპირებულია. ამიტომ, ყველას ერთად გვმართებს სწორი პოლიტიკური თუ სოციალ-

პრიორიტეტულ პროექტებს ერთობლივად განვიხილავთ...

- ბატონო მამუკა, რა სიახლეებია რაიონში?
 - ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, თეთრიწყაროს რაიონში მუშაობა დასასრული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ვახორცილებთ ინფრასტრუქტურულ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართა შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან და ადგილობრივ ფერმერებთან. საქმიანი საუბარი წარიმართა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებასა და კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობაზე, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მიწების გამსხვილებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას და საქესპორტო პოტენციალის გაზრდას.

- ამ მიმართულების განვითარება დამოკიდებულია საგაზაფხულო სამუშაოებისთვის გამოყოფილ თანხებზე...
 - რასაკვირველია, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მცირემწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება. სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა წელს ორ ეტაპად განხორციელდება. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მუნიციპალიტეტს 6538 ბარათი გადასცა. მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 -1,25ჰა-მდე მიწის ნაკვეთი. ხოლო 0-2500კვ-მდე ბენეფიციარები მიიღებენ პლასტიკურ ბარათებს, რომელზეც დარიცხული იქნება 50 ქულა. მუნიციპალიტეტმა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს დასარიგებლად უკვე გადასცა სასოფლო-სამეურნეო ბარათები.



- სოციალური კუთხით რა ვითარებაა?
 - სამწუხაროდ, რაიონში სოციალური ფონი კვლავ საკმაოდ მძიმეა, თუმცა ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ სიტუაციის გასაჯანსაღებლად და ჩვენი მწირი სახსრებით შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ადგილობრივ მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური დახმარება მიიღეს რაიონში მცხოვრებმა უკიდურესად გაჭირვებულმა ბენეფიციარებმა, რომელთა სარიტინგო ქულა 10 000-ს არ აღემატება. გარდა ამისა, 11 ოჯახი და ოჯახის 47 წევრი ყოველთვიურად მარაგდება სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქტებით და თითო სულზე თვეში 30 ლარის ღირებულების პროდუქტია გათვალისწინებული. ეს სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური



პროგრამა 2013 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს და ამ სექტორს შეძლებისდაგვარად ეხმარება.

- როგორც ვიცით, აქტიურად მიდის მუშაობა კერძო და საჯარო სექტორებს შორის სოციალური პარტნიორობის განვითარების პროგრამაზე...

- ასეთი მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია რაიონში. რამდენიმე ხნის უკან გაგმართეთ შეხვედრა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლებთან. ახალი პროექტის ფარგლებში უკვე შექმნილი სოციალური საწარმოების განსაზღვრის გისაუბრეთ, რომლებსაც ეს ორგანიზაცია ასორციელებს. 2014 წელს პროექტში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ჩართვა იგეგმება. მისი მიზანია არასამთავრობო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის მყარი პარტნიორული ურთიერთობების შექმნა და მათ შორის სოციალური მომსახურების სფეროში პარტნიორობის განმტკიცება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის საჭირო სოციალური განვითარება-გაფართოება „სოციალური საწარმოების“ შექმნით. რაიონისთვის პრიორიტეტულ პროექტებს ჩვენი მუნიციპალიტეტი და სოციალური სამსახურის სააგენტო მოსახლეობასთან ერთად განიხილავს.

"თბილგვირაბი"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილგვირაბი"-ს ისტორია სათავეს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მემპატიანემ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული არაერთი ისტორიული პროექტი შემოინახა.

"თბილგვირაბი"-ს ხელმძღვანელის, ბატონ **ჰაბტა ჭვლივიძის** დახმარებით პატივი მაქვს თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გადავავლო თვალი ამავე ორგანიზაციის მიერ შესრულებულ, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მცირე, თუმცა შთამბეჭდავ საშუალებებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილგვირაბი" სამართველოს სახით 1951 წელს ქ.თბილისში შეიქმნა. მის ანგარიშზეა: თბილისის მეტროპოლიტენის 22 სადგურის 55,6 კმ. სიგრძის გვირაბის მშენებლობის სრული ციკლი; საავტომობილო გვირაბები 8.6 კმ. საერთო სიგრძით, მათ შორის კავკასიონზე როკის გვირაბი-3.66 კმ.; სურამის უღელტეხილზე რიკოთის გვირაბი-1.75 კმ.; საქართველოს



სხვა ორგანიზაციებისთვის კონკურენცია გაეწია.

არაერთი მოგებული ტენდერი და სხვადასხვა სახის მომსახურებების გაწევა თბილისელებისათვის. მეტროპოლიტენის უბნებზე დაზიანებული მიწისქვეშა ნაგებობების გამაგრება-აღდგენა, საკანალიზაციო კოლექტორების მშენებლობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მეტროპოლიტენის სადგურ-უნივერსიტეტის სამშენებლო სამუშაოების 85 პროცენტი სწორედ "თბილგვირაბი"-ს მიერაა განხორციელებული. დღეის მდგომარეო-



სამხედრო გზაზე ხუთი გვირაბი 1.2 კმ.; თავდაცვის სამინისტროს მიწისქვეშა ობიექტების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; ყულევის ტერმინალის მშენებლობაზე სხვადასხვა შენობა ნაგებობები საერთო ფართობით 220 000 კვმ და სხვა.

უამრავ წარმატებასთან ერთად იყო რთული წლებიც. დაგროვილი ვალები, უიმედოდ დარჩენილი პროფესიონალი კადრები. სწორედ იმ დროს, როდესაც "თბილგვირაბი" ახალი სისხლი სჭირდებოდა, პასუხისმგებლობა და მძიმე ტვირთი საკუთარ თავზე აიღო ბატონმა ჰაბტა ჭვლივიძემ.

პროფესიონალიზმმა, სწორმა მენეჯმენტმა და დაუღალავმა შრომამ, ბუნებრივია, ნაყოფი გამოიღო. "თბილგვირაბი" არათუ ფეხზე დადგა, არამედ შეძლო ურთულეს ტენდერებში



მეტროპოლიტენის მშენებარე სადგური „უნივერსიტეტი“

ბით, ორგანიზაციას შესწევს ძალა კვლავ შეასრულოს ყველა შემოთავაზებული ანალოგიური სამუშაოები. ამ ფონზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საშუალება მიეცეს თავად დაასრულოს სადგურ-უნივერსიტეტის მშენებლობა.

შესაბამისი ტენდერი დარჩენილ 15 პროცენტთან სამუშაოებზე მარტივ-აპრილის თვეში უნდა გამოცხადდეს.

"თბილგვირაბიში" ჩვენთან ერთად იმედოვნებენ, რომ მთავრობა ორგანიზაციის მრავალწლიან ტრადიციას, მაღალი პასუხისმგებლობით რეალიზებულ პროექტებს ანგარიშს გაუწევს და დარჩენილ სამუშაოებს წარმატებით დაასრულებს.





GCBB

საქართველოს ცენტრალური
სისხლის ბანკი -

სიცოცხლის საღარაჯოა

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილსიცოცხლის ჭიდილშია კიდე არ დაუძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის დევიზია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლაც საფრთხეშია!

GCBB- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და პროდუქციით ნელ-ნელა მიიღეს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო ღონისძიებებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: დონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, 6 თვის განმავლობაში მას და მის ოჯახს წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.



14 ივნისი, სისხლის უანგარო დონორობის მხარდასაჭარად და ვაბივისცემის ნიშნად, დონორთა დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

იყავი გულისხმიანი, გაიღა სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!



მის: ქავთარაძის 21/ა
<http://www.geocbb.com>
T: 218_91_77; 254_53_19

სამთო კურორტზე განთავსებული 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო „ბორჯომი-პალასი“ გთავაზობთ მშვიდ და კომფორტულ გარემოს სასიამოვნო დასვენებისათვის. სასტუმროს აქვს 49 სხვადასხვა ტიპის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ოთახი.

სასტუმრო-სანატორიუმ „ბორჯომი-პალასში“ ფუნქციონირებს სამკურნალო გამაჯანსაღებელი სპაცენტრი. უახლესი აპარატურით აღჭურვილი სადიაგნოსტიკო კაბინეტებში ტარდება სხვადასხვა გამოკვლევები: ულტრასონოგრაფია, დოპლეროგრაფია, ორსულთა გამოკვლევა ზღვბა 4D - ულტრაბგერით აპარატზე, ეზოფაგოდუოდენოსკოპია, კლინიკო-ბიოქიმიური ლაბორატორია. კუჭისა და ნაღვლის წვენის გამოკვლევა. კონსულტაციებს ატარებენ მაღალკვალიფიციური ექიმები. თერაპევტი, ვასტროენტეროლოგი, უროლოგი, გინეკოლოგი, კარდიოლოგი, და რადიოლოგი.

საპროცედურო კაბინეტებს ემსახურება გამოცდილი და კვალიფიციური მედ-პერსონალი: ტარდება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ამორეცხვა. კოლინოთერაპია მინერალური წყლით, გინეკოლოგიური გამორეცხვა. ასევე ფუნქციონირებს აპარატული ფიზიო-სამკურნალო კაბინეტი: ნევერალგიების, ქრონიკული ტონილიტების, რადიკულიტების, გამორიტების, კუჭის, ღვიძლის და ნაწლავების პერი-სტალტიკის გასაუმჯობესებელი ელექტროპროცედურები, ვეგეტო-დისტონიების სამკურნალო ფიზიოთერაპია.

სამკურნალო და სარელაქსაციო მასაჟის კაბინეტი. უახლესი აპარატურით აღჭურვილი კოსმეტოლოგიური კაბინეტი. ჩვენთან შეგიძლიათ გაიკეთოთ ფოტოეპილატა და სხვა მრავალი პროცედურა. მხოლოდ ჩვენს სანატორიუმში შეგიძლიათ მიიღოთ სპა-კაპსულა „დერმალიფ“, რომელიც გთავაზობთ: მინერალური წყლით, რძით, თაფლით, გვირილის და ორკბილას ნაყენით, ღვინის ექსტრაქტით პიდროთერაპიას, ჰიდრომასაჟს, ამასთან ერთად ორთქლის, სხვადასხვა პროცედურების და ქრომოთერაპიას. ელექტროტალანის პროცედურებს.

რეგიონში მხოლოდ ჩვენს სასტუმროში არის ესთეტიკური მედიცინის კაბინეტი, სადაც შეგიძლიათ გაიკეთოთ შემდეგი პროცედურები: თმის მოცილება (ფოტოეპილატა), კანის გაანაზღაურდავება, პიგმენტური ლაქების მოცილება, სისხლძარღვთა თერაპია, აკნეთერაპია, ნაოჭების თერაპია.

ასევე გთავაზობთ: საცურაო აუზის, ფიტნესის, თურქული ჰამამის და საუნის მომსახურებას. ბორჯომის უნიკალური კლიმატის და ჩვენი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ხელშეწყობით გექმნებათ საუკეთესო პირობები დასვენების, მკურნალობის და პროფილაქტიკისთვის.

სასტუმრო
სანატორიუმ
„ბორჯომი-
პალასი“



Hotel-San
“BORJOMI
PALACE”

ბორჯომი, გამსახვიანის
ბაღ. +995 32 243-00-31



სასტუმროში ფუნქციონირებს:

- რესტორანი
- აუზი
- საუნა
- ჯაზუზი
- ბრანაჟროების ღარბაზი
- მაგიდის გოგზაურთი
- მაგიდის ჰოჩაი
- საბილიარლო ვაულის მაგიდით
- ღვინის სახლი
- ღია ბუნგალო
- საოუნაჟარბაზიო ღარბაზი
- სამედიცინო ცანტრი
 - 24 საათიანი ღაცვა
 - ადგილი პარაჩირაბისათვის
 - აზო



ოთახებში არის:

- ვლაზმარი ბალკონი
- უახალთო ინტარნაბი
- ბალეჟონი
- სვალი ნარბილაბი შხაპ-აბინით
- მიინ-ბარი
- სკიფი
- ჰიგიენური საშაულაბაბის ნარაბი
- ჰირსაზომი
- ხალათი
- ჩუსტაბი
- თმის საშრობი



ბორჯომის
 სასანატორიო
 კომპლექსი
 "BORJOMI
 PALACE"

ბორჯომის ქ. №17
 +995 32 243-00-32

A 4 star hotel, Borjomi Palace – located on a mountainous resort – offers a calming and comforting environment for a pleasant vacation. The hotel has 49 rooms of different type equipped according to modern standards.

The hotel-sanatorium "Borjomi Palace" offers a medical-recreational spa center. Different analyses are conducted in diagnostic cabinets which are equipped with newest apparatus: ultrasonography, dopplerography, the examination of pregnant women are conducted by 4D ultrasound apparatus, esophagoduodenoscopy, clinical-biochemical laboratory. Examination of stomach and bile juice. Consultations are given by highly qualified doctors. Therapist, gastroenterologist, urologist, gynecologist cardiologist and radiologist. Experienced and qualified med personal provide a service to procedural cabinets: stomach and duodenum rinsing are conducted. Cholinotherapy with mineral water, gynecological rinsing, hardware-based physiomedical cabinet is also available: Procedures aimed at improvement of chronic neuralgia tonsillitis, radiculitis, haimoritis, stomach, liver and peristalsis of intestines, physiotherapy aimed at vegetodistonija. Cabinet for medical and relaxation massage. A cabinet for cosmetology equipped with newest technology . You can have a photo epilation and number of other procedures.

At only our sanatorium you can have spa capsule "dermalife" which offers: hydrotherapy with mineral water, milk, honey, tea of chamomile and marigold, hydromassage and also different steam aromas and chromotherapy. Electric mud procedures. Throughout the whole region in only our hotel you can find cabinet of esthetic medicine, where you can get the following procedures: hair removal (photo-epilation), rejuvenation of skin, removal of pigmented spots, therapy of veins, acuthery, therapy of wrinkles.

We also offer: services of swimming pool, fitness and Turkish hamam and sauna. With the help of Borjomis unique climate and our medical-recreational center you can enjoy best conditions for resting, treatment and preventive inspection.



Sanatorium
 BORJOMI
 PALACE"

AT THE HOTEL:

- Restaurant
- pool
- sauna
- Jacuzzi
- fitness room
- table tennis
- table hockey
- billiards
- wine house
- open bungalow
- conference room
- medical centre
- 24-hour security
- parking space
- yard



IN THE ROOM:

- TV
- wireless internet
- phone
- bathroom with shower
- Mini-bar
- safe
- toiletry kit
- towel
- bathrobe
- sneakers
- hairdryer



Hotel BAKURIANI VILLA GEORGIA

GEORGIA, BAKURIANI,
AGMASHENEBELI STR. 100
TEL.: 599 01-44-84



სასტუმრო „ვილა გეორგია“

სასტუმრო „ვილა გეორგია“ არაჩვეულებრივი აღგებმდებარეობის, უმაღლესი დონის სერვისის და საუკეთესო პირობების გამო ერთ-ერთი პოპულარული სასტუმროა ბაკურიანში.

ყველა ნომრიდან ულამაზესი ხედი იშლება დიდველზე, კობტა გორასა და სათხილამურო ტრასებზე.

ოთახების დიზაინი ინდივიდუალურად არის გაფორმებული და მოწყობილია გემოვნებიანი ავეჯით.

მზიდ, ოჯახურ გარემოსთან, მეგობრულ ატმოსფეროსთან, კომფორტთან და კვალიფიციურ მომსახურებასთან ჰარმონიული შერწყმა დაუვინყარს ხდის ამ ულამაზეს სასტუმროში დასვენებას წლის ნებისმიერ სეზონზე...



სასტუმრო

„ბელგრადი“

Hotel BELGRADI

ქობულეთის ეგზოტიკური სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე, პრესტიჟულ, მყუდრო უბანში მდებარეობს სამსართულიანი სასტუმრო „ბელგრადი“. სასტუმროს გააჩნია 15 ნომერი: ლუქსი, ნახევრადლუქსი და სტანდარტული ნომრები. 1, 2, 3 და 4 საწოლიანი ნომრები თანამედროვე, დახვეწილი დიზაინის ამერიკული ავეჯით და იტალიური სანტექნიკური მოწყობილობით. თითოეული ნომერი განსაკუთრებულია და პასუხობს XXI საუკუნის ადამიანის მოთხოვნილებებს. სასტუმროში მოგემსახურებათ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რათა თქვენი დასვენება გახდეს არაჩვეულებრივი და დაუვიწყარი. სასტუმრო „ბელგრადს“ გააჩნია კაფე-ბარი, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ ქართული და ევროპული კერძები. დაისვენეთ და გაატარეთ დაუვიწყარი დღეები სასტუმრო „ბელგრადში“.



მისამართი:
საქართველო, ქობულეთი
აღმაშენებლის ქ. №270
საკონტაქტო პირი: ბელა ლლონგი

ტელ: (+995) 0 426 26 83 37
მობ: (+995) 99 93 96 30
მობ: (+995) 77 43 10 37





მშენებლობა და
ბენეფიციარები

WWW.SUBTROPICITY.GE




1 SHEAIF KHMISHIASHVILI STREET, BATUMI

MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100

Info@subtropicity.ge

სუბტროპიკითი

შეპყრობითი საცხოვრებელი კომპლექსი



აქცია!



თბილისი, თარგნიშვილის №2




მ. ბათუმი, სიბოლოვის ქუჩა №1
19 საბინაო კორპუსი
საბინაო სართალოდან ერთი ბინა
ბინები 39 კვ.მ - 70მ²
მშენებლობა დასრულებულია



ბაქარის ქარბა

მ. ბათუმი, ჩუბუკაძის ქუჩა №4
7 საბინაო კორპუსი
საბინაო სართალოდან ხუთი
ბინები: 4200 კვ.მ
მშენებლობის პერიოდი: (2010-2012)
ბინები 70 კვ.მ 50მ²
მშენებლობა დასრულებულია



მ. ბათუმი, სანაბაძის ქუჩა №53-57
14 საბინაო კორპუსი
საბინაო სართალოდან ხუთი
ბინები: 8870 კვ.მ /
მშენებლობის პერიოდი: (2013-2015)
ბინები 41,2 კვ.მ 50მ²

